სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

11/07/2025

MES 7 25 0000858518

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის "სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 10 ივლისის №853091 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული გადამზადების პროგრამა "სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე" **(დანართი)**.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02355	სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	9	ქართული	75	თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2025 წლის 25 ივნისის

ბრძანებით N110

.....

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე
პროგრამის სახე: ☐ **პროფესიული მომზადება** ▌**პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ **2** ☐ **3** ▌**4** ☐ **5**

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია,/ელექტრომექანიკოსის პროფესიული ან უმაღლესი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

პროგრამის მიზნები: კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ლოკომოტივის მართვის დარგში, პროგრამის საფუძველზე კურსდამთავრებული შესაძლებელია შეიძლება დასაქმდეს რკინიგზაზე, მეტროპოლიტენში, ქარხანაში, შახტასა და ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც ტვირთების შიდა გადაზიდვებისთვის იყენებენ რკინიგზის ლიანდაგს.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
2. სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
3. გარემოს დაცვითი ნორმების დაცვა;
4. საგანგებო სიტუაციებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
5. მატარებელთა მოძრაობის და სამანევრო მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
6. ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მიღებისა და ტექნიკური გამართულობის აღწერა;
7. ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მიღება;
8. მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემების წაკითხვა;
9. მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემების გამართვა;
10. დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება;
11. დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურის ნაწილობრივ შეკეთება;
12. სამუხრუჭო მოწყობილობების და სასილე მეურნეობის დათვალიერების წესის აღწერა;
13. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების სისტემების და სავალი ნაწილების დათვალიერების წესის აღწერა;
14. ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების დათვალიერების წესის აღწერა;
15. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერების სამუშაოების წარმოება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** „ლოკომოტივის მართვა“

- **მოდულები:**

1. სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
2. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება;
3. მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატიკური მოწყობილობების სქემების აღწერა;
4. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება;

პროგრამის მოკლე აღწერა: სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწე - პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს არესბული კადრების მომზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა/კომპეტენციების შეძენასა და გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის თანაშემწის მომზადებისთვის. წამოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 9 კვირა 180 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ლიტერატურითა და მატერიალური აღჭურვილობით.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება და ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია,/ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო

1	• პირველი სამედიცინო დახმარების საშუალებები; • პირველი სამედიცინო დახმარება ტრამვის შესაბამისად; • მოტეხილობის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • დაჟეჟილობის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • სისხლდენის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • დამწვრობის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • ელექტრო დენით დაშავებულისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • თბური დაკვრის და მოყინვის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • ზოგადი და პირადი ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობა.	1,2	20	ლექცია, პრაქტიკული სავარჯიშო, სასწავლო მასალების დემონსტრირება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, გამოკითხვა	A;C
2	• ზოგადი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; • სპეცტანსაცმლის დანიშნულება და გამოყენების წესი; • გარემოს დაცვის ნორმები; • გარემოს დაცვის უზრუნველყოფის საფუძვლები; • ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა; გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური მართვა; • გარემოს დაბინძურებით მოსალოდნელი რისკები; გარემოს დაცვითი ღონისძიებები; • შესაძლებლობის ფარგლებში ეკოლოგიური გარემოს დაცვა;	2,3	20	ლექცია, პრაქტიკული სავარჯიშო, სასწავლო მასალების დემონსტრირება	გამოკითხვა	A;C
3	• საგანგებო სიტუაციებისას ევაკუაციის პროცესის ღონისძიებების მნიშნელობა და წარმართვა; • საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის მნიშვნელობა; • მატარებელთა მოძრაობის წესები სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალებების მოქმედების შეწყვეტისას;	4,5	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარი, ქეისები	გამოკითხვა	A;C

	• მატარებელთა მიღება, გაგზავნა და სადგურებში სამანევრო გადაადგილების წესები; • მატარებელთა მოძრაობის წესები სადგურებში სცბ–ს მოწყობილობათა ნორმალური მუშაობის დარღვევისას; • მანევრების უსაფრთხოდ წარმოების წესები სადგურის, მახარისხებელი გორაკის და გორაკქვედა ლიანდაგებზე.					
4	• მემანქანის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოების წესი; • ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის ძირითადი კვანძების გამართულობის შემოწმების წესი; • სიჩქარმზომის დიაგრამული ლენტის და ელექტროსიჩქარმზომის ელექტრულ ჩიპის ჩაყენების წესი • ლოკომოტივის კვანძების შემოწმების წესი; • დაზიანებების აღმოფხვრის გზები.	6	20	პრაქტიკული ლექცია, ინტერაქციული ლექცია, სემინარი, ქეისები	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C
5	• მემანქანის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება; • გაფრთხილების მიღება; • ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის ძირითადი კვანძების გამართულობის შემოწმება; • სიჩქარმზომის დიაგრამულ ლენტის და ელექტროსიჩქარმზომის ელექტრული ჩიპის ჩაყენება; • ლოკომოტივის კვანძების შემოწმება; • ტექნიკური საშუალებების უწესივრობების აღმოფხვრა.	7	20	ინტერაქტიული ლექცია, სემინარი, დისკუსია.	გამოკითხვა	A;C
6	• მაღალი, დაბალი ძაბვის პნევმატიკური სქემის მნიშვნელობა და სახეები; • მაღალი, დაბალი ძაბვის და აპარატურის პნევმატიკური სქემების სიმბოლობი და მათი მნიშვნელობები;	8	20	ინტერაქტიული ლექცია, სემინარი, დისკუსია.	გამოკითხვა	A;C
7	• მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემის დაზიანების აღმოჩენა; • მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემის შესაბამისად დაზიანების გამართვა; • მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემის შესაბამისად წრედის მთლიანობას შემოწმება;	9,10,11	20	ლექცია, პრაქტიკული სავარჯიშო,	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება	A;C

	• დაბალი ძაბვის აპარატურის, მისი შემადგენელი კვანძებისა და დეტალების დათვალიერება ; • დეტალების, კვანძების და სადენების იზოლაციის გაზომვა; • მაღალი ძაბვის აპარატურის, მის შემადგენელი კვანძებისა და დეტალების დათვალიერება; • მოძრავიშემადგენლობის მაღალი ძაბვის კვანძების და დეტალების დაზიანებული კვანძის დაშლა; • ახალი დეტალის მორგება დაზიანებულ კვანძზე; • მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის ცალკეული კვანძებისა და დეტალების ჩანაცვლებული კვანძის გამოცდა; • მაღალი ძაბვის აპარატურის კვანძის მონტაჟი; • მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის ცალკეული კვანძებისა და დეტალების დარეგულირება; • მოძრავი შემადგელობის მაღალი ძაბვის აპარატურის ცალკეული კვანძებისა და დეტალების შეკეთება და დარეგულირება; • მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის, მისი შემადგენელი კვანძებისა და დეტალების ცვეთისა და ღრეჩოების დასაშვები ზომების შემოწმება;					
8	• ტმ-1 -ის მოთხოვნები სამუხრუჭო და სასილე მეურნეობის დათვალიერებისას; • პნევმატური მუხრუჭების აგრეგატების განლაგება; • პნევმატური მუხრუჭების აგრეგატების დანიშნულება; • სამუხრუჭო-ბერკეტული გადაცემის მოქმედების პრინციპი; • ლოკომოტივის სამუხრუჭო მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების წესი; • ლოკომოტივზე და ძვმშ-ზე პნევმატური სამუხრუჭო მოწყობილობების,აგრეგატების და სამუხრუჭო-ბერკეტული გადაცემის მომქედების წესი; • ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების სისტემების მდგომარეობის აღწერა; • სავალი ნაწილების მდგომარეობის აღწერა	12,13	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარი	გამოკითხვა	A;C

9	• ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების - აღწერა; • ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების დაზიანებების განსაზღვრა; • ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების ძირითდი დაზიანებების -განსაზღვრა; • სასილე მეურნეობის შემოწმება; • სასილე მეურნეობების უწესივრობების აღმოფხვრა; • სამუხრუჭო მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება; • ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების სისტემების მოწყობილობების მდგომარეობის შემოწმება; • სავალი ნაწილების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობის პარამეტრების მიხედვით სწორად შეფასება; • სამუხრუჭო მოწყობილობების ინსტრუქციის მიხედვით დარეგულირება;	14,15	20	ინტერაქციული ლექცია, სემინარი	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა „ლოკომოტივის მართვა“

მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	**სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი**
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა - 07.16.1.8	1. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა; 2. სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; 3. გარემოს დაცვითი ნორმების დაცვა; 4. საგანგებო სიტუაციებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა; 5. მატარებელთა მოძრაობის და სამანევრო მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება - 10.10.1.1	1. ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მიღებისა და ტექნიკური გამართულობის აღწერა;

	2. ლოკომოტივისა და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის მიღება;
მაღალი, დაბალი ძაბვისა და პნევმატიკური მოწყობილობების სქემების აღწერა - 10.10.1.2	1. მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემების წაკითხვა; 2. მაღალი, დაბალი ძაბვის და პნევმატიკური სქემების გამართვა; 3. დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება; 4. დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურის ნაწილობრივ შეკეთება;
ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერება - 10.10.1.3	1. სამუხრუჭო მოწყობილობების და სასილე მეურნეობის დათვალიერების წესის აღწერა; 2. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოების სისტემების და სავალი ნაწილების დათვალიერების წესის აღწერა; 3. ელექტრო აპარატურის და დამხმარე მანქანების დათვალიერების წესის აღწერა; 4. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური დათვალიერების სამუშაოების წარმოება.